

ტერმინ „ქართლის“ არსისა და წარმომავლობის საკითხისათვის

გიორგი ქავთარაძე

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან
150 წლისთავისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო კონფერენცია

2013 წლის 24-26 ივნისი

ტერმინი „ქართლი“ პირველად გვხვდება იაკობ ხუცესის „შუშანიკის მარტვილობაში“: „*ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქვეყანასა მას ჰერეთისასა*“ (II), „...და მიერთგან განითქუა *ყოველსა ქართლსა*“ (XI), „აზნაურნი და უაზნონი *სოფლისა ქართლისანი*“ (XVII).

- სამივე შემთხვევაში როგორც ქორონიმი.

- ყველაზე ადრეული განმარტება ტოპო-ქორონიმ „ქართლის“ წარმომავლობისა მოცემულია „მეფეთა ცხოვრებაში“: „და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვს არაგვ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი. და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თვისისა **ქართლი**. და ვიდრე აღმართებამდე მუნ ზედა კერპი არმაზისი ერქუა მთასა მას **ქართლი**, და მის გამო ეწოდა **ყოველსა ქართლსა ქართლი**, ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა... მოკუდა ქართლოს და დაფლეს იგი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა აწ ეწოდების არმაზი. და შემდგომად ამისსა ცოლმან მისმან აღაშენა დედა-ციხე“.




Copyright © 2004 Andrew Andersen












სურ. I. დიდი მცხეთა, მისი უმთავრესი უბნები და ქალაქის სასოფლო რაიონი

წიგნიდან: ა. ავაქიძე. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბილისი, 1963.

არქეოლოგიური შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ სწორედ აქ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სადაც მთა ქართლი, იგივე არმაზ/არმაზციხეა ლოკალიზებული, ისახება იბერიის ძველი დედაქალაქის დედაციხის რთული საფორტიფიკაციო ნაგებობების მთელი სისტემა, აქვე უნდა ყოფილიყო სამეფო რეზიდენცია და ოდნავ მოშორებით – საპიტახშოც.



სურ. 113: I. მთა ქართლი; II. ზაგინეთი; III. სევსამორა; IV. სამთავროს სამაროვანი; V. არმაზისხევის სამაროვანი. 1. სვეტიცხოველი; 3. ანტიოქია; 4. გეთსიმანია; 5. სამთავრო; 6. ბებრის ციხე; 7. კალოუზანი; 10. არმაზის მონასტერი; 11. ახალქალაქური. შესრულებულია ვ. ცინცაძის მიერ. წიგნიდან: ა. ავაქიძე. *ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში*. თბილისი, 1963.


„ხოლო ამან აზონ მოარღვევნა ზღუდენი ქალაქსა
მცხეთას საფუძვლითურთ, და დაუტევნა
ოთხნი იგი ციხენი, რომელნი მოსდგმიდეს
პირსა ქართლისასა: თავადი ციხე, რომელ არს
არმაზი, და ერთი ციხე დასასრულსა არმაზისა
ცხვრისასა; და ერთი თავსა ზედა მცხეთისასა;
მეოთხე ციხე, დასავლით, მცხეთა მტკუარსა
ზედა“ (19: 3-6)

- სიტყვა „ქართლი“ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტებში ზოგჯერ „ქალაქის“ მნიშვნელობითაც არის გამოყენებული. მაგ., „...და იპყრა იგი ზურგად, ქალაქი ხუნანი“, ვარიანტი: „...ქართლი ხუნანი“, (31: 19); „...მეფე იქმნეს შვილნი მათნი: არმაზს – ფარსმან და შიდა ქალაქსა – კაოს“, ვარიანტი: „...შიდა ქართლსა – კაოს“ (44: 9, 10); „...მოაოხრეს ტფილისი და არმაზი ქართლი“, ვარიანტი: „...არმაზი ქალაქი“ (202: 19, 20). ჩვენთვის აქ საინტერესოა არა ის თუ ამ სიტყვათაგან რომელია ამა თუ იმ ნუსხაში მართებულად ჩასწორებული, არამედ თვით ფაქტი ტერმინების „ქართლი“ და „ქალაქი“ ურთიერთმონაცვლეობისა. ტოპონიმი „ქართლი“ მართლაც ქალაქის, ციხე-სიმაგრის, გაღვნიტ შემოვლებული გამაგრებული ადგილის, აკროპოლისის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო; კასიუს დიო არმაზს/ქართლს სულაც „აკროპოლისს“ (Ἀκρόπολις) უწოდებს. ანტიკურ ხანაში მცხეთა-არმაზი ცენტრალური ამიერკავკასიის უმთავრესი ფორტიფიკაციული ცენტრი იყო, ქვეყნის ოთხივე მხარის გზაჯვარედინის ჩამკეტი.

Κέρτα πόλις ὑπὸ Ἄρμενίων

Hesychii Alexandrini lexicon

KERTA, or *Karta*, in the language of the Phoenicians and Parthians, denotes a town, Hesychius, as Tigranocerta, Carthago.



ბერძნულმა *πόλις*-მა, ათასობით წლების შემდეგაც იჩინა თავი, როგორც ბრაზილიაში (Petropolis), ასევე რუსეთში (Ставрополь და ა.შ.). ცნობილია სხვა შემთხვევებიც, მაგ., ელინისტური ხანის სირიელების მოერ კოშკის აღმნიშვნელი ბერძნული – *πύργος*-იდან ნაწარმოები არაბული *برج* და ბიზანტიური ხანის თურქულში შესული – *burghaz*-ი, რომლებიც ციხე-სიმაგრის აღმნიშვნელ მრავალ ტოპონიმს დაედო საფუძვლად. რომაული ხანის ლათინური *castrum*-ი, არაბული ფორმით – *قصر* – ასამდე ტოპონიმის მაწარმოებლად გადაიქცა.

ტერმინ „ქართლთან“ მიმართებით საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთილი სივრცობრივი და ქრონოლოგიური კონტექსტი იკვეთება, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ამ ტერმინის არსისა და წარმომავლობის საკითხის გარკვევისას.

ტერმინი *karta* და მისგან, როგორც შემადგენელი ნაწილისაგან, ნაწარმოები ტოპონიმები ძველ სამყაროში წარმოადგენდნენ ციხე-სიმაგრის აღმნიშვნელ, დიდი სივრცეების მომცველ, მოხეტიალე, „მოღურ“ ტერმინებს, რომელთაც ეგვიპტეშიც შეაღწიეს, *qarthā*-ს სახით, და ფინიკიელთა მეშვეობით ჩრდილოეთ აფრიკასა და იბერიის ნახევარკუნძულზეც კი გავრცელდნენ.

უკვე ორი ათასი წელია ცდილობენ ტერმინ - *karta/kerta*-ს მნიშვნელობის დადგენას. უძველესი ბერძნული წერილობითი ცნობა მსგავსი ტერმინების არსებობის შესახებ განეკუთვნება ანაქსიმენესს ძვ. წ. 380-320 წწ.), რომელიც თვლიდა რომ პერსეპოლისის სპარსული სახელწოდება – *Πασσαργάδα* სპარსულ ენაზე ნიშნავდა „სპარსულ ბანაკს“ – *Περσῶν στρατόπεδον*.

Πασσαργάδαι, πόλις [Περσική], Θηλυκῶς. Διότιμος ἐν ἑξηκοστῷ πέμπτῃ παντοδαπῶν ἀναγνωσμάτων παρατιθέμενος Ἀναξιμένην ἐν μεταλλαγαῖς βασιλέων οὕτω γράφοντα „τὰς δὲ Πασσαργάδας ἔκτισεν ὁ Κῦρος ἐφ' οὗ τόπου παραταξάμενος Ἀστυάγην ἐνίκησεν. ὀνομάζεται δὲ ἡ πόλις διερχομένη ἐν Περσῶν στρατόπεδον”. Ἀπολλόδωρος δὲ ἀρσενικῶς φησιν. ἔοικε δὲ ἀρσενικῶς καὶ Θηλυκῶς εἰρησθαι, τάχα δέ, ὅπερ ἄμεινον, ἐπὶ μὲν τῆς πόλεως Θηλυκῶς, ἐπὶ δὲ τῶν οἰκητόρων ἀνδρωνύμως.

Stephani Byzantii Ethnicorum quae supersunt. Ex recensione Augusti Meinekii. Berolini, 1849, 509-510.

1069. Ὅτι Σάβαι ἦσαν μὲν καὶ Ἀραβικοὶ, ὡς προε-
γράφη, εὐρηγνται δὲ καὶ ὡδὲ Περσικοὶ. μεθ' οὓς οἱ Πα- 25
σαργάδαι, περὶ ὧν κατωτέρω ῥηθήσονται. ἐν δὲ τοῖς ἐξῆς
καὶ Ἰνδικὸν ἔθνος οἱ Σάβαι εὐρίσκονται. ἦσαν δὲ καὶ
ἔθνος Θρακικὸν Σάβοι, ὅπερ τοὺς Βάκχους δηλοῖ Φρυ-
γία διαλέκτῳ· ἐξ οὗ καὶ ὁ Διόνυσος εἶκε Σαβάζιος λέ-
γεσθαι, διότι καὶ Βάκχος ὁ αὐτός. 30

Ὅτι τὸ Τασκοὶ ἔθνος Περσικοῦ ὄνομα βαρυτό-
ως παρὰ πολλοῖς ἀναγινώσκεται· οἷς ἀγγιτέρμονες οἱ
Πασαργάδαι, ἄριστοι Περσῶν κατὰ Ἡρόδοτον, παρ' οἷς
Κύρον τάφος πολυτελής, πύργος οὐ μέγας ἐν παραδεί-
σῳ, δάσει δένδρων ὑποκεκρυμμένος, κλίνην τε χρυσοῦν 35

ἔχων ποτὲ καὶ τράπεζαν καὶ πύελον ὕλης ὁμοίας καὶ
κόσμον λιθοκόλλητον. προσεκοσμήθη δὲ καὶ ὑπὸ Ἀρι-
στοβούλου, κελεύσει Ἀλεξάνδρου, ἐσυλήθη δὲ οὐ πολλῶ
ὔστερον. εἶχε δὲ φασὶ καὶ ἐπίγραμμα Ἑλληνικὸν Περ-
5 σικοῖς γράμμασιν,

Ἐνθάδ' ἐγὼ κεῖμαι, Κῦρος βασιλεὺς βασιλῆων.
ἦν δὲ καὶ ἕτερον τοιοῦτον, ὃ ἄνθρωπε, ἐγὼ Κῦρος
εἰμί, ὃ τῆν ἀρχὴν τοῖς Πέρσαις κτησάμενος
καὶ τῆς Ἀσίας βασιλεύσας· μὴ οὖν φθονή-
10 σης μοι τοῦ μνήματος. καὶ τοῦτο μὲν ἀπλοῦν καὶ
γοργόν. κάλλιον δὲ τὸ ἐπὶ Λαρεῖῳ, φίλος ἦν τοῖς φί-
λοις, ἵππευς καὶ τοξότης ἄριστος ἐγενόμην,
κυνηγῶν ἐκράτουν, πάντα ποιεῖν ἠδυνάμην.
Ἰστίον δὲ ὅτι τὸ μὲν ἔθρικόν οἱ Πασαργάδαι, ἡ δὲ πό-
15 λισ θηλυκῶς, ὡς δηλοῖτό, τὰς δὲ Πασαργάδας ἐκτι-
σεν ὁ Κῦρος. διερμηγεύεται δὲ ἡ πόλις κατὰ γλῶσσαν
Ἑλληνίδα Περσῶν σιοαιτόπεδον.

Dionysius Periēgētes Graece et Latine cum vetustis commentariis et interpretationibus ex
recensione et cum annotatione Godofredi Bernhardy. Lipsiae [Leipzig], 1828.



Pasargadae was King Cyrus the Great's royal residence.

TIGRANOCERTA, œ, f. Τιγρανόκερτα,
oppidum in montanis Armeniae majoris, a
Tigrane conditum, unde et nomen accepit
quasi *Tigranis civitas*, nam **certa orientis**
lingua urbem sonat.

Totius Latinitatis Lexicon. Egidio Forcellini, Jacobus Bailey. Consilio et cura
Jabobi Facciolati. Londini: Sumptibus Baldwin et Cradock, 1828, p. 1146,
Appendix.

❓ ტერმინ *-karta-*-დან ანდა მისი განშტოებებიდან ნაწარმოებია შემდეგი ტოპონიმები:

- ბაბილონეთსა და დასავლეთ სუზიანაში: 1. Vologesicerta; 2. Βατράχαρτα; 3. Destagerd; 4. Hormuzgird; 5. Aristaḡird; 6. Wasagerd; 7. Susangird.
- ასირიასა და შუამდინარეთში: 1. Μονόκαρτον; 2. Μαννάκαρτα; 3. Minicerta; 4. Χατράχαρτα; 5. Ζαριγάρδια.
- არმენიაში: 1. Zikarta; 2. Τιγρანόκερτα; 3. Ἄρκαθιόκερτα; 4. Ἄρταγίγαρτα; 5. 5. Ἴηλεγέρδα; 6. Δαδόκερτα; 7. Καπνισκέρτι; 8. Σανόχαρτα; 9. Μάκαρτα/Μανάκαρτα; 10. Μαρτίκερτα/Μερτίκερτα; 11. Μαντζικίερτ; 12. Manavazgerd; 13. Melazgerd; 14. Hatamagerd; 15. Haïgerd; 16. Henaragerd; 17. Tzolagerd; 18. Tzungerd; 19. Vagarshagerd; 20. Shemiramagerd; 21. Nephrekt; 22. Vanakert; 23. Gilgerd; 24. Meshingerd; 25. Tawasgerd; 26. Alaschgerd.
- მედიაში: 1. Γλίγερδα; 2. Μαζίκερτον; 3. Maragerd; 4. Paguragerd; 5. Phaurḡird; 6. Ashnadḡird; 7. Dastaḡird; 8. Buzanaḡird; 9. Burûḡird; 10. Walshgird.
- ჰირკანიაში: 1. Κάρτα; 2. Ζαδράκαρτα; 3. Phuzgird.
- პართიასა და ხორეზმში: 1. Πασακαρτία; 2. Bashgird; 3. Bulanḡird; 4. Bugagerd.
- ტრანსსოქსანია და ხორასანი: 1. Χαράχαρτα; 2. Chatracharta.

ტერმინი *-κερτα, -καρτα* ქალაქის
აღმნიშვნელი ებრაულ-არამეული
სიტყვიდან – *התק, אתק*– არის
ნასესხები

მვ. წ. IX საუკუნეში **תשדח תרק(Qart-Hadašt)** ანუ „ახალქალაქი“ დაარქვეს ჩრდილოეთ აფრიკაში ახალდაარსებულ თავის კოლონიას არამეულის ახლო მონათესავე პუნიკურ/ფინიკიურ ენაზე. „ქალაქის“ აღმნიშვნელ არამეულ სიტყვას *karda* წარმოადგენდა.

მათი ენა ერთ-ერთი ძირითადი სახელმწიფო ენა იყო აქემენიანთა ზეგავლენის ქვეშ მყოფ არმაზციხის ადრეულ ბინადართათვის და შემდეგაც ახ. წ. VII საუკუნემდე ახლო აღმოსავლეთში *lingua franca*-ს წარმოადგენდა, ამდენად, სავსებით დასაშვებია, სწორედ სიტყვა *karda* დასდებოდეს საფუძვლად ტერმინ ქართლ-ს.



არამეული ტერმინი **karda**, თავის მხრივ, შესაძლოა დაკავშირებული უნდა იყოს ხურიტულ **ard**-თან. ისე უნდა ჩანდეს, რომ თითქოს ქართულენოვან სამყაროში ადრეული ხანებიდანვე ფეხი ჰქონდა მოკიდებული ციხე-სიმაგრის აღმნიშვნელ ხურიტულ ტერმინს **ard**-ს, რომელმაც რეგიონში აქემენიანთა დომინირების ხანაში ანალოგიური მნიშვნელობისა და ჟღერადობის მქონე და შესაძლოა მასთანვე დაკავშირებულ არამეული სიტყვის **karda**-ს ზეგავლენის შედეგად შეიძინა ანლაუტში ველარული ფონემა. ასეთი ვარაუდის შესაძლებლობაზე ალბათ უნდა მიგვანიშნებდეს ქართულ სინამდვილეში დადასტურებული არაერთი ციხე-სიმაგრის აღმნიშვნელი და „ართ/არტ/არდ“- ძირიანი ტოპონიმი: „ართვინი /ართვანი“, „არტაანი“, „არტანუჯი“, „არდისუბანი“ და სხვ. იქნებ აქვე უნდა გავიხსენოთ, არდამ ერისთავის სახელიც, „ამან [ფრიდონ] წარმოგზავნა ერისთავი თვისი სპითა დიდითა, რომელსა სახელი ერქუა არდამ, შვილი ნებროთის ნათესავთა“.



Head_man_Carthage_Louvre_AO3783.

Head of a bearded man. Glass, 4th–3rd centuries BC. Found in the Punic necropolis of Carthage (now in Tunisia). Pendant or part of a necklace?

H. 5,1 cm (2 in.), W. 3,3 cm (1 ¼ in.).